საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 40

2017 წ. "10" 07

ქ. თბილისი

შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის (ქართული ენა და ლიტერატურა - დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა - საბაზო და საშუალო საფეხური; მათემატიკა - დაწყებითი საფეხური, მათემატიკა - საბაზო და საშუალო საფეხური; ისტორია - საბაზო და საშუალო საფეხური; სამოქალაქო განათლება - საბაზო და საშუალო საფეხური; გეოგრაფია - საბაზო და საშუალო საფეხური; ბიოლოგია - საბაზო და საშუალო საფეხური; ფიზიკა - საბაზო და საშუალო საფეხური; ქიმია - საბაზო და საშუალო საფეხური; ბუნებისმეტყველება - დაწყებითი საფეხური; ინგლისური ენა - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური; რუსული ენა - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) აკრედიტაციის შესახებ

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, 22-ე მუხლის მე-3 პუნქტისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" 28-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შპს ევროპის უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას (ქართული ენა და ლიტერატურა - დაწყებითი საფეხური, ქართული ენა და ლიტერატურა - საბაზო და საშუალო საფეხური; მათემატიკა - დაწყებითი საფეხური, მათემატიკა - საბაზო და საშუალო საფეხური; ისტორია - საბაზო და საშუალო საფეხური; სამოქალაქო განათლება - საბაზო და საშუალო საფეხური; გეოგრაფია - საბაზო და საშუალო საფეხური; ბიოლოგია - საბაზო და საშუალო საფეხური; ფიზიკა - საბაზო და საშუალო საფეხური; ქიმია - საბაზო და საშუალო საფეხური; ბუნებისმეტყველება - დაწყებითი საფეხური; ინგლისური ენა - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური; რუსული ენა - დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) 7 წლის ვადით მიენიჭოს აკრედიტაცია.

2. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2017 წლის 10 ივლისის №10 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება კანონით დადგენილი წესით შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1, ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ლევან გორდეზიანი

მდივანი
ანანო გიორგაძე